

**შეტყობინება მეოთხე  
იობი და ორი ხე**

ადგილები წერილიდან: დაბ. 2:9, 17; გამოცხ. 22:1-2, 14;  
იობი 1:1; 2:3; 4:7-8; 42:1-6; რომ. 8:5-6

**I. დგთაებრივი გამოცხადების თანახმად წერილებში, არის ორი ხე, ორი სათავე, ორი გზა, ორი პრინციპი და ორი დასრულება:**

- a. სიცოცხლის ხე აღნიშნავს სამერთიან დმერთს როგორც სიცოცხლეს ადამიანისათვის ადამიანის ღმერთთან ურთიერთობაში; კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხე აღნიშნავს სატანას, ეშმაკს, ბოროტს, როგორც სიკვდილს ადამიანისათვის ადამიანის დაცემაში ღმერთის წინაშე – დაბ. 2:9, 17; ფსალ. 36:9.
  - b. სიცოცხლის ხე არის სათავე ადამიანების, რომლებიც ეძებენ დმერთს როგორც სიცოცხლეს თავიანთი შეწევნისა და ტკბობისათვის, კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხე არის სათავე ადამიანების, რომლებიც მიჰყებიან სანას, როგორც თავიანთ შხამს სიკვდილისათვის და მარადიული დაღუპვისათვის – იოანე 1:4; 15:1; 8:44.
  - c. პირველი გზა არის სიცოცხლის გზა, ვიწრო გზა, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანებს, რომ ეძებონ ღმერთი, მოიპოვონ ღმერთი და დატკბენენ ღმერთით მის მარადიულ სიცოცხლეში როგორც შეწევნაში; მეორე გზა არის სიკვდილისა და კეთილისა და ბოროტის გზა, ფართო გზა, რომელიც ნებას აძლევს ადამიანებს, გაჟყვნენ სატანას, რათა იყვნენ მისი შვილები – მათე 7:13-14; საქმე. 9:2; 1 იოანე 3:10.
  - d. პირველი პრინციპი არის სიცოცხლის პრინციპი, ღმერთზე დამოკიდებულების პრინციპი; მეორე პრინციპი არის სიკვდილისა და კეთილისა და ბოროტის პრინციპი, ღმერთზე დამოუკიდებლობის პრინციპი – დაბ. 4:3-4; იერ. 17:5-8; იოანე 15:5.
  - e. ორი დასრულება – არის საბოლოო შედეგი ორი ხისა, ორი სათავისა, ორი გზისა და ორი პრინციპისა:
    1. ღმერთის სიცოცხლის გზის დასრულება არის ქალაქი სიცოცხლის წყლის, ახალი იერუსალიმი – გამოცხ. 21:2, 9-11; 22:1-2.
    2. სიკვდილისა და კეთილისა და ბოროტის გზის დასრულება არის ცეცხლის ტბა – 19:20; 20:10, 14-15.
- II. ღმერთს განზრახული ჰქონდა მიეღო არა იობი კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხაზზე, არამედ იობი სიცოცხლის გზის ხაზზე:**
- a. იობისა და მისი მეგობრების ლოგიკა შეესაბამებოდა კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ხაზს; მათ აკლდათ დგთაებრივი გამოცხადება და დგთაებრივი სიცოცხლის განცდა – იობი 2:11-32:1.
  - b. იობიც, და მისი მეგობრებიც, დაკავშირებულნი იყვნენ სწორისა და არასწორის ცოდნასთან, და მათ არ იცოდნენ ღმერთის სახლმშენებლობა – 4:7-8:

1. არც იობი და არც მისი მეგობრები არ იყვნენ სიცოცხლის ხის ხაზზე, როგორც ღმერთმა დაუდგინა ადამიანს ყოფნა – დაბ. 2:9.
  2. მათი წარმოდგენა ადამიანის ღმერთთან ურთიერთობაზე შენდებოდა კეთილისა და ბოროტის, სწორისა და არასწორის საფუძველზე, კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის პრინციპის სრულ შესაბამისობასთან და მთლიანად იყო შესაბამისობაში დაცემული ადამიანის ადამიანურ, ზნეობრივ წარმოდგენასთან – იობი 8:1-20.
- გ. იობი და მისი მეგობრები იყვნენ კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის სფეროში; ღმერთი ცდილობდა, რომ გადაერჩინა ისინი ამ სფეროდან და მოეთავსებინა ისინი სიცოცხლის ხის სფეროში – 1:1; 2:3; 19:10.
- დ. ღმერთის მიზანი იობზე მუშაობაში იყო ის, რომ მოებრუნებინა ის კეთილისა და ბოროტის გზიდან სიცოცხლის გზისაკენ, იმისათვის, რომ მას მოეპოვებინა ღმერთი ყველაზე სრული სახით – 42:1-6.
- III. ჩვენ გვჭირდება ხედვა სიცოცხლის ხის – დაბ. 2:9; გამოცხ. 22:1-2, 14:**
- ა. სიცოცხლის ხე აღნიშნავს სამერთიან ღმერთს ქრისტეში, რომელიც არიგებს თავის თავის ამორჩეულ ადამიანებში როგორც სიცოცხლეს საკვების სახით – დაბ. 2:9.
  - ბ. სიცოცხლის ხე არის სამყაროს ცენტრი:
    1. ღმერთის ჩანაფიქრის თანახმად, დედამიწა არის სამყაროს ცენტრი, ედემის ბადი არის დედამიწის ცენტრი, ხოლო სიცოცხლის ხე არის ედემის ბადის ცენტრი; აქედან გამომდინარე, სამყაროს ცენტრი არის სიცოცხლის ხე.
    2. არ არის არაფერი უფრო ცენტრალური და უფრო მნიშვნელოვანი ისევე როგორც ღმერთისათვის, ასევე ადამიანისათვის, ვიდრე სიცოცხლის ხე – 3:22; გამოცხ. 22:14.
  - გ. ახალი აღთქმა გვიჩვენებს, რომ ქრისტე არის სიცოცხლის ხის წინასახის ასრულება – იოანე 1:4; 15:5.
  - დ. ყველა ასპექტი ყოვლისმომცველი ქრისტესი, ნაჩვენები იოანეს სახარებაში, არის შედეგი სიცოცხლის ხის – 6:48; 8:12; 10:11; 11:25; 14:6.
  - ე. სიცოცხლის ხით ტკბობა იქნება მარადიული ხვედრი ღმერთის ყველა გამოსყიდულისა – გამოცხ. 22:1-2, 14:
    1. სიცოცხლის ხე ასრულებს მარადისობაში იმას, რაც იყო ღმერთის განზრახვა ადამიანთან დაკავშირებით დასაწყისიდან – დაბ. 1:26; 2:9.
    2. სიცოცხლის ხის ნაყოფები იქნება საკვები ღმერთის გამოსყიდულებისათვის მარადისობაში; ეს ნაყოფები იქნება მუდმივად ახალი, ვინაიდან იქნება მოტანილი ყოველ თვე – გამოცხ. 22:2.
- IV. ორი ხე დაბადების 2:9-ში – სიცოცხლის ხე და კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხე – წარმოადგენს ცხოვრების ორ პრინციპს:**
- ა. ეს ორი ხე გვიჩვენებს, რომ ქრისტიანს შეუძლია იცხოვროს ორი სხვადასხვა პრინციპის თანახმად – სწორისა და არასწორის პრინციპის ან სიცოცხლის პრინციპის თანახმად – 1 კორ. 8:1.

- ბ. იობი და მისი მეგობრები ესწრაფოდნენ რაღაცას ზნეობრიობის სფეროში, მაგრამ ჩვენ, მორწმუნები ქრისტეში, უნდა ვესწრაფოთ რაღაცას დმერთის სფეროში – 15:28; ეფეს. 3:16-21.
- გ. ვიყოთ ქრისტიანი – ნიშნავს საქმე გაქონდეს არა სწორისა და არასწორის პრინციპთან, კეთილისა და ბოროტის პრინციპთან, არამედ სიცოცხლესთან – 1 იოანე 5:11-13, 20:
1. როდესაც ჩვენ მივიღეთ უფალი იქსო და მოვიპოვეთ ახალი სიცოცხლე, ჩვენ მოვიპოვეთ ცხოვრების კიდევ ერთი პრინციპი – სიცოცხლის პრინციპი; თუ ჩვენ არ ვიცნობთ ამ პრინციპს, ჩვენ გვედზე გადავდებთ სიცოცხლის პრინციპს და გავუვებით სწორისა და არასწორის პრინციპს.
  2. ჩვნს პრაქტიკულ ცხოვრებაში ჩვენ, შესაძლოა, ვიმუოფებით არა სიცოცხლის ხის ხაზზე, არამედ კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ხაზზე – იგავ. 16:25; 21:2.
  3. ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ უნდა ვიყოთ არა კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის სფეროში, არამედ მაცოცხლებელი სულის სფეროში – 1 კორ. 15:45ბ; რომ. 8:2.
  4. იმისათვის, რომ ვიცხოვოთ სიცოცხლის ხის პრინციპის თანახმად, ჩვენ უნდა გავუვეთ სიცოცხლის შინაგან გრძნობას – მუხ. 6; ეფეს. 4:18-19; ესაია 40:31:
    - ა) უარყოფითი მხრივ, სიცოცხლის გრძნობა – არის შეგრძნება სიკვდილის – რომ. 8:6ა.
    - ბ) დადგებითი მხრივ, სიცოცხლის გრძნობა – არის შეგრძნება სიცოცხლისა და მშვიდობისა, რომელსაც თან ახლავს ძალის, დაკმაყოფილების, მოსვენების, გაბრწყინებისა და ნუგეშისცემის შეგრძნება – მუხ. 6ბ.
  5. როდესაც ჩვენ ვცხოვრობთ სიცოცხლის ხის პრინციპის თანახმად, ჩვენ ვზრუნავთ არა სიკეთესა და ბოროტებაზე, არამედ სიცოცხლეზე და ჩვენ განვჭვრებოთ ყველაფერს არა სწორისა და არასწორის თანახმად, არამედ სიცოცხლისა და სიკვდილის თანახმად – დაბ. 2:9, 16-17; 2 კორ. 11:3.
- V. თითოეული ნამდვილი მორწმუნე ქრისტეში წარმოადგენს ედემის ბაღს მინიატურაში: მის სულში არის დმერთი როგორც სიცოცხლის ხე, ხოლო მის ხორცში არის სატანა როგორც კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხე – დაბ. 2:9; რომ. 8:2, 5-6:
- ა. ჩვენ ვართ ედემის ბაღი მინიატურაში, რადგან ახლა ჩვენში წარმოქმნა სამკუთხედის სიტუაცია, ეს სიტუაცია მოიცავს დმერთს, ადამიანსა და სატანას – დაბ. 1:27-29; 2:9, 16-17:
1. სანამ ადამიანი დაეცემოდა, კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხე და სიცოცხლის ხე იყო ადამიანის გარეთ – მუხ. 9, 16-17.
  2. დაცემის შედეგად ჩვენში არის კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხე, ხოლო ხელახლაშობის შედეგად ჩვენში ახლა არის სიცოცხლის ხე.

3. ჩვენი სული შერწყმულია სამერთიან დმერთთან, ხოლო ჩვენი სხეული, რომელიც გახდა ხორცი, შერეულია სატანის ცოდვიან ელგმენტთან (1 კორ. 6:17; რომ. 5:12; 6:6, 12); ეს ხდის ქრისტიანს ედემის ბადად მინიატურაში.
- ბ. დაბადების მე-2 თავში ადამი იყო ჩვენი წარმომადგენელი, ამიტომ ახლა ჩვენს სულში არის სიცოცხლის ხე, ხოლო ჩვენს ხორცში არის კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხე – მუხ. 9; გამოცხ. 2:7ბ; 22:14:
1. ყოველთვის, როდესაც ჩვენ ვეხებით კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხეს, ჩვენ ვხდებით მკვდრები; ყოველთვის, როდესაც ჩვენ ვეხებით სიცოცხლის ხეს, ჩვენ ვიძებთ სიცოცხლეს – რომ. 8:5-6, 10.
  2. თუ ჩვენ დავდგებით კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის მხარეს და შევეხებით სატანას, ჩვენ გამოვავლენთ ჩვენი ცხოვრებით სატანის, ეშმაკის, სიცოცხლეს და ამის შედეგი იქნება სიკვდილი – 2 კორ. 11:3; რომ. 3:23; 1 ოთანე 3:4.
  3. თუ ჩვენ დავდგებით სიცოცხლის ხის მხარეს და შევეხებით ღმერთს, ჩვენ გამოვავლენთ ჩვენს ცხოვრებაში ღმერთს და ამის შედეგი იქნება სიცოცხლე – ოთანე 11:25; 14:6; 15:1, 4-5.
- გ. რომ. 8:5-6-ში ნაჩვენებია ედემის ბალი მინიატურაში, სადაც ერთი მხრივ, არის ხორცი და სიკვდილი, ხოლო მეორე მხრივ – სული და სიცოცხლე, ხოლო მათ შორის – გონება:
1. რომაელთა მიმართ წერილის მე-8 თავიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ ჩვენ უნდა მივმართოთ ჩვენი არსება ცოცხალი პიროვნებისაკენ, რომელიც მკვიდრობს ჩვენს სულში, და დავრჩეთ ერთი მასთან – მუხ. 6ბ; 1 კორ. 6:17.
  2. როდესაც ჩვენ მივმართავთ ჩვენს გონებას სულისაკენ, ჩვენ გაგვიჩნდება სიცოცხლე, მშვიდობა, სინათლე, ნუგეშისცემა და ძალა; ჩვენი წყურვილი აღმოჩნდება მოკლული, და ჩვენი შიმშილი – დაკმაყოფილებული – რომ. 8:5, 6ბ; ოთანე 4:14; 7:37-38; მათე 5:6.
  3. როდესაც ჩვენ მივმართავთ ჩვენს გონებას სულისაკენ, ჩვენი გონება სავსეა სიცოცხლითა და მშვიდობით – რომ. 8:6ბ:
- ა) ჩვენ გვაქას მშვიდობა, რადგან არ არის უთანხმოება ჩვენს გარეგნულ მოქცევასა და ჩვენს შინაგან არსებას შორის – მუხ. 6ბ; ესაია 9:6-7; 26:3.
- ბ) როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ და ამასთან ერთად ჩვენი გონება მიმართულია სულისაკენ, ჩვენს სიტყვებში განსხვეულებულია სიცოცხლე, რადგან ჩვენ ვართ ერთი სული უფალთან – ოგავ. 18:21; ოთანე 6:63; ეფეს. 4:29.